საქართველო

39476-01-2-201710271619

საგარეო საქმეთა
სამინისტრო

№ 01/39476
27/10/2017

სასწრაფო

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა

საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტო

შპს „მთის კურორტების განვითარების კომპანია“

გაცნობებთ, რომ სლოვენიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო შეხვდა სლოვენიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროს დეიან ვლადიჩს, რომელთანაც განიხილა მ/წ 28 ნოემბერს, სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრის, კარლ ერიავეცის და ბიზნეს-დელეგაციის საქართველოში ვიზიტის საკითხი.

სლოვენიური მხარის ინფორმაციით, ამ ეტაპზე, საქართველოში ჩამოსვლის მზაობა რვა კომპანიამ დაადასტურა, რომელთაც საქართველოს საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან შეხვედრა სურთ. კომპანიების ძირითად ნაწილს უკვე აქვს გარკვეული

ბიზნეს-ურთიერთობა საქართველოში *(თან ვურთავთ ინფორმაციას სლოვენიური კომპანიების, მათი ქართველი პარტნიორებისა და შეხვედრების სურვილის თაობაზე).*

ამასთან, სლოვენიის საგარეო უწყების თხოვნაა, ორმხრივ შეხვედრებთან ერთად *(რაც 27 ნოემბერსაც შეიძლება გაიმართოს)*, ერთობლივი ბიზნეს-ფორუმის მსგავსი ღონისძიება გაიმართოს, რომლის ფარგლებში, ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები მისასალმებელ სიტყვას წარმოსთქვამენ, ასევე, რამდენიმე კონტრაქტს/მემორანდუმს მოეწერება ხელი. გარდა ამისა, სლოვენიური მხარის შემოთავაზებაა, სლოვენიური კომპანიების წარმომადგენლებისთვის გაიმართოს პრეზენტაცია საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმებისა და პროექტების *(ინფრასტრუქტურული, სამთო კურორტების განვითარების და სხვა)* შესახებ.

გთხოვთ, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში და კომპეტენციის მიხედვით, გვაცნობოთ პოზიცია ქართულ-სლოვენიური ბიზნეს-ფორუმის ორგანიზების, ასევე, თანდართული ინფორმაციის შესაბამისად, სლოვენიურ კომპანიებთან შეხვედრების უზრუნველყოფის შესახებ.

აქვე, გაცნობებთ, რომ ორმხრივი შეხვედრების გარდა, სლოვენიის საგარეო საქმეთა მინისტრს, მ/წ 28-29 ნოემბერს, „Tbilisi Belt and Road Forum“-ში მონაწილეობა და ფორუმის მონაწილეებისათვის მისასალმებელი სიტყვით მიმართვა სურს. დეპარტამენტის უფროსმა დაადასტურა, რომ ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციით, „Tbilisi Belt and Road Forum“-ში ასევე სლოვენიის ინფრასტრუქტურის მინისტრი პეტერ გაშპერშიჩი მიიღებს მონაწილეობას.

დანართი: 6 გვ.

პატივისცემით,
ალექსანდრე ხვთისიაშვილი

დეპარტამენტის დირექტორი

საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტი